ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 78

(გამარტივებული შესყიდვა CPV 79952100)

ქ. ფოთი 05 მაისი, 2015 წ

ერთის მხრივ, **ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764.** მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93. საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519. დირექტორი რევაზ ბაბილუას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „ ბათუმის კულტურის ცენტრი " (ს/კ 245612109) მის: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 1; რუსთაველის ქ. 53.საბანკო რეკვიზიტები: სახ. ხაზინა TRESGE22; ანგ.ნომერი 7 4070 7019; წარმოდგენილი დირექტორის ჯონი საბაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელ"–ს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება")- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასტუმროში ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიის XIX - ე საერთაშორისო კონფერენციის (MBSHC 19) სტუმრებისთვის კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქ. ბათუმის საზაფხულო თეატრის დარბაზში კონცერტის ჩასატარებლად, საზაფხულო თეატრის ფართით და ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლით მომსახურების შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ითვალისწინებს: 2015 წლის 30 ივნისს სტუმრებისათვის დაგეგმილი კულტურული ღონისძიების ორგანიზებისათვის;

- უძრავ ნივთს, საზაფხულო თეატრის დარბაზის მომსახურების შესყიდვა (დაქირავება) (შემდგომში „ქონება–ფართი");
- ქორეოგრაფიული ანსამბლის მომსახურების შესყიდვა;
- ვოკალური ანსამბლის მომსახურების შესყიდვა.

2.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 30 ივნისს 16:00 სთ–დან 17:00 სთ–ჩათვლით.

2.4 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკური შესაძლებლობები(პერსონალის და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით).

2.5 ზემოაღნიშნული მომსახურებები უნდა განხორციელდეს ერთ სივრცეში;

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2800.00 (ორიათას რვაასი ლარი 00 თეთრი) ლარს (დ.ღ.გ.–ს ჩათვლით);
3.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	გასაწევი მომსახურების დასახელება	სთ. რაოდენობა	ჯამური ღირებულება
1	საზაფხულო თეატრის დარბაზი	16: 00 სთ–დან 17:00 სთ–ჩათვლით	800.00
2	ქორეოგრაფიული ანსამბლი.	16:00 სთ–დან 17:00 სთ–ჩათვლით	1500.00
3	ვოკალური ანსამბლი.	16:00 სთ–დან 17:00 სთ–ჩათვლით	500.00
	სულ:		2800.00

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მომსახურეობის გაწევის ვადები და ადგილი

4.1 შესყიდული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 30 ივნისს 16:00 სთ–დან 17:00 სთ–ჩათვლით.
4.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, საზაფხულო თეატრი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, ფაქტიური მიწოდებული მომსახურების ღირებულების მიხედვით, წარმოდგენილი მიღება – ჩაბარების აქტის და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შესაბამისად .
5.2 ანგარიშსწორებისთვის მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება – ჩაბარება, ანგარიშ–ფაქტურა.
5.3 ანგარიშსწორება მოხდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთ) კალენდარული დღის ვადაში.
5.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) <u>არ გამოიყენება</u>.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურეობა ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ ორმხრივად ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ მატერიალურ ტექნიკური მომმარაგებელი ზაზა მარკელია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
ა) ნებისმიერ დროს გაინახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) გამოიყენოს ხელშეკრულების საგანი დანიშნულებისამებრ;

გ) მოუაროს ხელშეკრულების საგანს, დაიცვას უსაფრთხოების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმები;
დ) გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
ე) მომსახურების გაწევის ადგილას მათი ყოფნის პერიოდში რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში, აღმოფხვრას მიყენებული ზიანი, გამქირავებელთან შეთანხმებით ნატურალური რესტიტუციით ან კომპენსაციით;
7.3. დამქირავებელი უფლებამოსილია დაქირავებულ ობიექტზე შეიტანოს გარკვეული ნივთები, რაც მისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ეს ნივთები უბრუნდება დამქირავებელს.
7.4. დამქირავებელს არა აქვს უფლება გამქირავებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს სხვა პირს ხელშეკრულების საგანი ქვექირავნობით.

7.5. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.6. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
გ) ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან გადასცეს ხელშეკრულების საგანი დამქირავებელს დ) როებითი სარგებლობის უფლებით;
დ) უზრუნველყოს დამქირავებელი თავისუფლად გამოიყენოს ხელშეკრულების საგანი ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ი) გადასცეს დამქირავებელს ხელშეკრულების საგანი შეთანხმებულ მდგომარეობაში.
7.7 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

8 მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 5 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2 საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % – ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

9.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
9.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობებს შესაბამისად მომსახურების შესრულების კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის" აჭარის მონაკვეთის ოფის – მენეჯერი ნინო ჩარექაშვილი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი"–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუზველზე.
10.5 ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულებების მთლიანად შესრულებისას.
10.6 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა შეთანხმებით.
10.7„მიმწოდებელს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ დამქირავებელი ზიანს აყენებს ხელშეკრულების საგანს, იყენებს მას არადანიშნულებისამებრ.
10.8 დამქირავებელს უფლება აქვს ცალხმრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მას არ გადაეცა ფართი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ან/და გამქირავებელმა არ აღმოფხვრა ნივთობრივი ნაკლი.
10.9 ხელშეკრულება ცალმხრივად წყდება მეორე მხარისათვის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
11.2. „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.
11.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.
11.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
11.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
12.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. შეტყობინება

13.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება ელ.ფოსტით ან საფოსტო გზავნილის სახით ან/და მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 01 ივლისის ჩათვლით.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8 მუხლი მოქმედებს მის სრულ შესრულებამდე.

15. სხვა პირობები

15.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.3 ხელშეკრულები დადების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10 [1] მუხლის მე- 3 პუნქტის „ 3 „ ქვეპუნქტი.

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: **რევაზ ბაბილუა**

მიმწოდებლის მხრიდან:

ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი"

დირექტორი: **ჯონი საბაშვილი**